

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №5/3, 04.04.2018

რექტორი _____ ი. შარაბიძე



საზღვაო აკადემიის სტუდენტთა მათ შორის
პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი

ND 2-019

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის უფროსი _____ რ. ყიფიანი

პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის

მოადგილე _____ ი. ინჭვირველი

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი _____ ლ. ჯაყელი



შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	2
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	2
3. მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
4. მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები	4
5. მუხლი 3. უცხოელ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები	6
6. მუხლი 4. პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	6
7. მუხლი 5. სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების წესი	7
8. მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	8
9. გავრცელების არე	9

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღწერის ფუნქციონირება. რევიზიის ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სანაბური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
4. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
5. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;

2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

2.1. ტერმინები

- 2.1.1. **რექტორი** – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე;
- 2.1.1. **სენატი** – საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.2. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.3. **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- 2.1.4. **სასწავლო გარემო** - იგი განსაზღვრავს სწავლების პროცესის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცის ტიპს. არსებობს სასწავლო გარემოს სამი მოდელი: A, B და C.

2.1. შემოკლებები

- 2.1.1. **ND**– ნორმატიული დოკუმენტი;
- 2.1.2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულნი ვე უნებლარი“. რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში „საზღვაო აკადემია“) სტუდენტთა, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდურ საფუძვლებს, წესს და კრიტერიუმებს.

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

ა) ადამიანური (აკადემიური) რესურსი - საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალის/მოწვეული მასწავლებლის და სტუდენტის რაოდენობრივი თანაფარდობა განისაზღვროს 1/20 -ით;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - საგანმანათლებლო პროგრამით ან/და სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, პარქტიკის გავლის ობიექტი (მფლობელობაში არსებული გემი ან მემორანდუმით უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტები), სახელოსნოები და ლაბორატორიები; ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, საბიბლიოთეკო რესურსები, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობა, რაც სამუშაო საათებში, ორ ცვლაში უნდა იძლეოდეს, სწავლა-სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფელ, სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: კერძოდ:

- სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე სულ ცოტა 3 მ²;

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აგრეთვე ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ფოიეები, საპროფესოროები/სასწავლო დეპარტამენტები და სხვა თავისუფალი სივრცეები - სასწავლო ფართის საშუალოდ 20%;
 - სარეკრეაციო სივრცე - ღია სივრცის სულ ცოტა 20%;
 - კომპიუტერულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში და საპროფესორო/სასწავლო დეპარტამენტებში და ღია სივრცეებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - სტუდენტთა რაოდენობის 1/15;
 - საბიბლიოთეკო რესურსი - სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა (მატერიალური ან ელექტრონული), სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი/დარბაზები მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატის სარგებლობის შესაძლებლობით;
 - პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსები;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის დინამიკა - პირველი განაცხადით დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა დადებითი (უარყოფითი) დინამიკის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი ამ წესის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს (შემცირდეს) არაუმეტეს 25%-ისა;
- დ) სტუდენტთა განთესვის (მობილობით გადმოსვლა, გადასვლა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა) მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა განთესვის საუნივერსიტეტო მაჩვენებელთან შედარების საფუძველზე მისაღები კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ წესის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების გათვალისწინებით;
- ე) სასწავლო პროცესის ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვები, ლექცია-პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობის მეცადინეობების მონიტორინგი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება და სხვ.) საფუძველზე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს სტუდენტთა კონტინგენტი ამ წესის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტების გათვალისწინებით;
- ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დასაქმების ბაზრის კვლევა - დამსაქმებლის მოთხოვნისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის საფუძველზე სტუდენტთა კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ წესის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტების გათვალისწინებით;



მუხლი 3. უცხოელ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. უცხოენოვანი პროგრამების არსებობის შემთხვევაში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება შესაბამისი კომპეტენციის (უცხოურ ენაზე დარგობრივი ცოდნის გამოხატვის შესაძლებლობის) მქონე ადამიანური რესურსის რაოდენობა (მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანაფარდობით);
2. უცხოენოვანი ლიტერატურის (მათ შორის ელექტრონული) საბიბლიოთეკო რესურსი;
3. მოთხოვნის შემთხვევაში უცხოელი სტუდენტების საბინაო განთავსების რესურსი (საერთო საცხოვრებელი ან ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ფართი);

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

- 4.1. **A სასწავლო გარემოს მოდელი** სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვას;
- 4.2. **B სასწავლო გარემოს მოდელი** სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული აუდიტორია, სადაც თითოეული პროფესიული სტუდენტი/მსმენელისთვის, ისევე როგორც მასწავლებლისთვის, განთავსებულია კომპიუტერები, ასევე სადემონსტრაციო საშუალებები და დაფა.
- 4.3. **C სასწავლო გარემოს მოდელი** სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან/და ცალკე მდგომი შენობა ან/და გარე სივრცე (მიწის ნაკვეთი, საწყობი, ლაბორატორია, სახელოსნო, ავტოსალონი და სხვა), რომელიც საჭიროა კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად.
- 4.4. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი - საუკეთესო პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის/მოწვეული პროფესიული მასწავლებლის და სტუდენტის რაოდენობრივი თანაფარდობა განისაზღვრება 1/20 -ით;
- 4.5. მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A, B და C).
- 4.6. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.
- 4.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრება შემდეგი მეთოდოლოგიით:
- 4.7.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
 - 4.7.2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
 - 4.7.3. C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში) (ორ ცვლაში);
 - 4.7.4. პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის გასავლელი ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით უზრუნველყოფა) და სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები;

მუხლი 5. სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების წესი

5.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:

- 5.1.1. სენატის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, იმავე გადაწყვეტილებაში მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა სასწავლო წლის სტუდენტთა საერთო რაოდენობისთვის აუცილებელ რესურსს (ბაკალავრიატის შემთხვევაში 4 და მაგისტრატურის შემთხვევაში 2);
- 5.1.2. სენატი ყოველწლიურად, საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული სტუდენტთა საერთო (მხედველობაშია ყველა სასწავლო წლის სტუდენტი) რაოდენობის გათვალისწინებით (გეგმური მობილობის გათვლით, რეესტრის მიხედვით არსებული ვაკანტური ადგილების

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენების ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



გათვალისწინებით) ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ კონტინგენტს და მის საფუძველზე ადგენს შესაბამის ანკეტა-კითხვარს.

5.1.3. სტუდენტთა საერთო ზღვრული კონტინგენტი განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც წარედგინება სენატს დასამტკიცებლად.

5.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

5.2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა არსებული საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინებით და საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანხმობით სენატი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მისაღებ კონტინგენტს.

5.2.2. სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე საზღვაო აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ვებგერდზე <https://evet.emis.ge/> ონლაინ რეჟიმში, შეაქვს მონაცემები ანკეტა-კითხვარში.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, სენატის გადაწყვეტილებით.

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ მათვალისწინებს დოკუმენტის არსებითი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასლზე დატანის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალისწინებს როგორც „არაკონტროლირებად“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. გავრცელების არე

- 3.1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- 3.2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია; www.office.bsma.edu.ge
- 3.3. დოკუმენტის აღრიცხული ექზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დაკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-019

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №3

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 18.10.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ექზემპლარი. რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge